ხელშეკრულება №147

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

2016 წლის 18 მაისი

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ კასპის #3 საჯარო სკოლა (შემდგომში- შემსყიდველი), წარმომადგენელი მისი დირექტორის მარინე ქონიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ელ+" მისი დირექტორის ლაშა ჭუმბურიძის სახით, (შემდგომში -მიმწოდებელი) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წინმდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სკოლისათვის ცეცხლმაქრების შესყიდვა.

მუხლი2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 240 (ორასორმოცი ლარი) . ლარს CVP:# 30100000

2.2ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყვალა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება -ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებელის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით, ანდა სასაქონლო ზედნადებით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოსშემსყიდველს საქართველოს კანონმ-დებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

„მიმწოდებელი" საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების . დადებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ)გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.
5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებითგათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული საქონელი.
გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს2(ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

მუხლი6. ფორსმაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
6.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალ;დებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
6.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;
დ)თუ ცნობილი გახდა ,რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების

დამადასტურებელი დოკუმენტაცია ყალბია;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქარველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2.ხელშეკრულება დადებულია საქარველოს კანონმდებლობის შესაბამისად, და მისი დებულებები განიმარტება საქარველოს კანონმდებლობისმიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქარველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელსეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად. ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 18,06,2016 წლის ჩათვლით.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.
14.3. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს „ელ+	სსიპ ქალაქ კასპის #3საჯარო სკოლა

საბანკო კოდი:UGEBGE22	საბანკო კოდი: LBRTGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:	ანგარიშსწორების ანგარიში:
GE19VT7000004205253602	GE88LB0121111303121000
დირექტორი:	დირექტორი:
----------	----------
ლაშა ჭუმბურიძე	მარინე ქონიაშვილი
18.05.2016 წ	18.05.2016 წ

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #:	2875	GEL
თარიღი:	2016 წლის 18 05, ოთხშაბათი	GEL
გადამხდელის დასახელება:	სსიპ ქალაქ კასპის #3 საჯარო სკოლა	240.00
ანგარიში (დებეტი):	GE88LB0121111303121000	თანხა სიტყვიერად
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი" — ბანკის კოდი: LBRTGE22	ორას ორმოცი GEL და 00
გადასახადის გადამხდელის დასახელება:		
საიდენტიფიკაციო კოდი:	საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	
მიმღების დასახელება:	შპს"ელ+"	ბანკის აღნიშვნები
საიდენტიფიკაციო კოდი:	ანგარიში (კრედიტი): GE19VT7000004205253602	ბანკში შემოსვლის თარიღი: 18.05.2016
მიმღების ბანკი:	"ვითიბი ბანკი ჯორჯია" — ბანკის კოდი: UGEBGE22	
გადახდის დანიშნულება:	ცეცხლმაქრის ღირებულება	ხელმოწერა:
ხელმოწერა:		

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

KASPI PUBLIC SCHOOL №3
232550628

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK
შესრულებულია ინტერნეტ ბანკის მეშვეობით

34

მიღება-ჩაბარების აქტი №: 17

18.05.2016

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ სსიპ ქალაქ კასპის #3 საჯარო სკოლა, დირექტორი **მარინე ქონიაშვილი** სახით და მეორეს **შ.პ.ს. ელ + მისი დირექტორის ლაშა ჭუმბურიძის სახით**,ვადასტურებთ რომ შ.პ.ს. ელ+მა გადასცა ხოლო კასპის #3 სკოლამ ჩაიბარა შემდეგი სახის საქონელი

4ც.ცეცხლმაქრი ფხვნილოვანი 6კგ (МИГ)

საერთო ღირებულებით: 240 ლარი

CVP: # 30100000

სსიპ ქალაქ კასპის #3 საჯარო სკოლა

მარინე ქონიაშვილი

შ.პ.ს. ელ+

ლაშა ჭუმბურიძე

35